ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის

შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას, ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ვეცნობით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების, ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო(სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2025 წლის 9 ივნისი
თბილისი, საქართველო

შპს საქართველო-ურბან ენერჯი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	204,454,070	213,643,838
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები		350,761	-
აქტივების გამოყენების უფლება		305,133	472,560
არამატერიალური აქტივები		80,973	83,395
სულ გრძელვადიანი აქტივები		205,190,937	214,199,793
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	1,178,959	1,111,006
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	4,828,498	3,508,757
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	2,087,550	1,773,992
სულ მოკლევადიანი აქტივები		8,095,007	6,393,755
სულ აქტივები		213,285,944	220,593,548
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	123,638,980	123,638,980
დაგროვილი ზარალი		(111,489,211)	(127,675,602)
სულ კაპიტალი		12,149,769	(4,036,622)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	13	167,982,061	185,123,693
საიჯარო ვალდებულება		148,199	237,888
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		168,130,260	185,361,581
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	13	32,372,876	38,656,366
საიჯარო ვალდებულება		141,708	190,827
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		491,331	421,396
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		33,005,915	39,268,589
სულ ვალდებულებები		201,136,175	224,630,170
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		213,285,944	220,593,548

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 9 ივნისს.

ბურაქ ჯანდანი
გენერალური მენეჯერი

ნოდარ კურტანიძე
კომერციული დირექტორი

შპს საქართველო-ურბან ენერჯი
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	14	48,190,290	43,499,498
სხვა შემოსავალი		167,629	157,964
პერსონალის ხარჯები	16	(4,144,169)	(4,398,439)
მომსახურების ხარჯები	15	(3,238,378)	(4,657,559)
საგადასახადო ხარჯები	17	(1,996,383)	(2,088,293)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ზარალი		(699)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	18	(495,222)	(500,730)
მოგება ფინანსურ შემოსავლამდე / ხარჯებამდე, მოგების გადასახადამდე, ცვეთამდე და ამორტიზაციამდე		38,483,068	32,012,441
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	19	(10,283,821)	(10,275,770)
საოპერაციო მოგება		28,199,247	21,736,671
ფინანსური შემოსავალი	20	19,853,642	1,619,610
ფინანსური ხარჯები	21	(31,866,498)	(25,187,734)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		16,186,391	(1,831,453)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		16,186,391	(1,831,453)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		16,186,391	(1,831,453)

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 9 ივნისს:

ბურაქ ჯანდანი
გენერალური მენეჯერი

ნოდარ კურტანიძე
კომერციული დირექტორი

შპს საქართველო-ურბან ენერჯი
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

<i>ქართული ლარი</i>	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	123,638,980	(125,844,149)	(2,205,169)
წლის ზარალი	-	(1,831,453)	(1,831,453)
სულ წლის სრული ზარალი	-	(1,831,453)	(1,831,453)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	123,638,980	(127,675,602)	(4,036,622)
წლის მოგება	-	16,186,391	16,186,391
სულ წლის სრული შემოსავალი	-	16,186,391	16,186,391
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	123,638,980	(111,489,211)	12,149,769

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 9 ივნისს:

 ბურაქ ჯანდანი
 გენერალური მენეჯერი

 ნოდარ კურტანიძე
 კომერციული დირექტორი

შპს საქართველო-ურბან ენერჯი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2024 წლის 31 დეკემბერი

ქართული ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		16,186,391	(1,831,453)
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	19	10,283,821	10,275,770
ფინანსური შემოსავალი	20	(19,853,642)	(304,247)
ფინანსური ხარჯები	21	22,398,156	22,910,351
ნასესხები სახსრების ადრეული დაფარვის შედეგად მიღებული			
ზარალი, შემცირებული შემოსულობით	21	-	2,277,383
ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად მიღებული შემოსულობა		699	-
წმინდა სავალუტო ზარალი/(შემოსულობა)	20,21	9,468,342	(1,315,363)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		38,483,767	32,012,441
(ზრდა) /შემცირება მარაგებში		(67,953)	18,468
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,319,741)	(293,093)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		69,935	(241,321)
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება		(1,317,759)	(515,946)
მიღებული პროცენტი		94,705	304,247
გადახდილი პროცენტი და სხვა ფინანსური ხარჯები		(20,562,409)	(22,178,413)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		16,698,304	9,622,329
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(1,249,214)	(139,448)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(2,379)	(79,682)
ძირითადი საშუალებების გასვლა		1,663	-
საბანკო დეპოზიტების განთავსება		-	(22,326,256)
დეპოზიტების გამოტანა ბანკებიდან		-	25,973,440
წმინდა ფულადი სახსრები (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) / საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,249,930)	3,428,054
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	13	42,976,547	231,683,450
ნასესხები სახსრების დაფარვა	13	(57,801,402)	(244,358,121)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(184,992)	(178,969)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(15,009,847)	(12,853,640)
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		438,527	196,743
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,773,992	1,739,726
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(124,969)	(162,477)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	2,087,550	1,773,992

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 9 ივნისს:

ბურაქ ჯანდანი
გენერალური მენეჯერი

ნოდარ კურტანიძე
კომერციული დირექტორი

1 შპს საქართველო-ურბან ენერჯი და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, შპს „საქართველო - ურბან ენერჯისათვის“ (შემდგომში „კომპანია“ ან „სუე“).

კომპანია დაფუძნდა 1999 წლის 11 თებერვალს და მისი ადგილმდებარეობა საქართველოშია. კომპანია დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით. კომპანიის მარეგისტრირებული ორგანოა ვაკის რაიონული სასამართლო, ხოლო რეგისტრაციის ნომერია 204885044.

კომპანიის საკუთრების წილებს ფლობენ შემდეგი მფლობელები :

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
“ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარი ანონიმ შირკეტი“	100%	100%
სულ	100%	100%

“ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარი ანონიმ შირკეტი“ (შემდგომში „აკაფი“) წარმოადგენს აგ “ანადოლუ გრუპუ ჰოლდინგ ა.ს.”-ის 61.49%-ით შეიღობილ კომპანიას, რომელიც დაფუძნდა 2009 წლის 15 დეკემბერს და მისი იურიდიული მისამართია ფატიჰ სულტან მეჰმეტ მაჰ., ბალკან ჯად. #58, ბუიაკა, ე ბლოკ 34771 ტეჰეიუსტუ/უმრანიე, სტამბოლი, თურქეთი. “ა.შ. ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარის” დანარჩენ 38.51%-იან წილს ფლობს “ფარავანი ენერჯი ბ.ვ.”.

კომპანიის საბოლოო მფლობელები	ა.გ. ანადოლუ გრუპუ ჰოლდინგ ა.შ.-ში კუთვნილი სააქციო კაპიტალი %	
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ა.გ. სინაი იათირიმ ვე იონეთიმ ა.შ.	48.65%	48.65%
აზიმუთ პორტფოი სქაი სერბესთ ოზოლ ფონ სხვა	7.07%	7.07%
	44.28%	44.28%
სულ	100.00%	100.00%

ა.გ. სინაი იათირიმ ვე იონეთიმ ა.შ. თანაბრად კონტროლდება ქამილ იაზიჯი იონეთიმ ვე დანისმა ა.ს. -ს და იხეთ ტურკან იოზილჰან ვე დანიშმანლიკ ა.შ. -ს მიერ. თითოეული ფლობს კაპიტალის 50 პროცენტს.

სხვა შედეგება იოზილჰანისა და იაზიჯის ოჯახის წევრებისა და საჯარო აქციებისგან.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია. კომპანია ფლობს და ექსპლუატაციას უწევს ფარავნის ჰიდროელექტროსადგურს („ჰესი“), რომლის წარმადობაა 87 მგვტ. მისი მშენებლობა 2014 წელს დასრულდა 2007 წელს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე. ჰესი მდებარეობს მდინარე ფარავანზე, საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. 2023 წელს, საქართველოს მთავრობასთან, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან (ესკო) და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან (სსე) გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებების მიხედვით, ზაფხულის თვეების განმავლობაში კომპანიას უფლება აქვს გაყიდოს ფაქტობრივად წარმოებული ელექტროენერგია სრულად მისი შეხედულებისამებრ, ექსკლუზიურად მიჰყიდოს ის „ესკოს“ , ან განახორციელოს მისი ექსპორტი. 2024 წელს კომპანიამ ელექტროენერგის ექსპორტი განახორციელა მხოლოდ ივლისში, დარჩენილი ელექტროენერგია მთლიანად ქართულ ბაზარზე გაიყიდა.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზირი 37. თანამშრომელთა რაოდენობამ შეადგინა 38 ადამიანი (2023 წლის 31 დეკემბერი: 37 თანამშრომელი).

წარსადგენი ვალუტა. საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი (ლ), იგი ასევე წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (ლ), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 საწარმოს საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველო განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს ავლენს, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს მსგავსი განვითარებადი ბაზრები ექვემდებარება განსხვავებულ რისკებს, უფრო განვითარებულ ბაზრებთან შედარებით; ეს მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს. საქართველოში ბიზნესზე მოქმედი კანონები და რეგულაციები სწრაფად იცვლება, რასაც თან ახლავს საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების დაქვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციებზე. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების განვითარების პარალელურად, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ მიღებულ ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების გეგმებს უკავშირდება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, თუმცა შესაძლებელია არსებობდეს მეტის მოლოდინი, რადგან საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა პარალელურად ვითარდება.

გარდა ამისა, საქართველოს ენერგო-სექტორზე მოქმედებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, საკანონმდებლო, ფისკალური და მარეგულირებელი მოვლენები.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. მოსალოდნელია, რომ ომს ყოვლისმომცველი გავლენა ექნება გლობალურ ეკონომიკაზე, მაგალითად, სასაქონლო ფასების ზრდა, ნავთობის/გაზის/ქვანახშირის პოტენციური დეფიციტი, ბიზნეს საქმიანობის შეფერხება და ა.შ. მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის სამომავლო გავლენის პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან. კომპანიის საქმიანობაზე სამხედრო თავდასხმას გავლენა არ მოუხდენია.

კლიმატის ცვლილება. კლიმატის ცვლილება და ჰიდროენერგეტიკის განვითარება ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ ბუნებრივი პროცესის ფარგლებში, ამგვარად, ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც ადგილი ექნება ერთ-ერთ მათგანთან, გამოიწვევს ცვლილებას მეორესთანაც. გლობალური დათბობა კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია სხვა ისეთ ფაქტორებთან შედარებით, როგორიცაა ტენიანობა, ღრუბლიანობა და ნალექი. მას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჰიდროენერგეტიკის გამომუშავებაზე და წყლის რესურსების მომარაგებაზე. გლობალური დათბობა ზრდის გლობალური ტემპერატურის მაჩვენებლებს, რაც შემდეგ, თავის მხრივ, ცვლის ნალექების ხასიათს. ამ ცვლილებების ერთ-ერთი შედეგია გაზაფხულზე ადრეული თოვლის დნობა, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ჰიდროენერგეტიკის გამომუშავებაზე. კლიმატის ცვლილება გლობალური ფენომენია; თუმცა, კლიმატის ცვლილების ზემოქმედება ჰიდროენერგეტიკის გამომუშავებაზე არ არის ერთგვაროვანი სხვადასხვა სივრცით მასშტაბებში. სხვადასხვაგვარი შედეგები დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ადგილობრივი ჰიდროლოგიური პირობები და გეოგრაფიული მახასიათებლები. კომპანია ამცირებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებს გლობალურ დათბობასთან დაკავშირებული კლიმატის ექსტრემალური მოვლენებით გამოწვეული ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილებების პროგნოზის გაუმჯობესების გზით. მეტი სივრცითი და დროითი სიზუსტის არსებობისას, ეს პროგნოზები ხელს შეუწყობს ჰიდროენერგეტიკის განვითარების პოტენციალის უკეთესი და ზუსტი შეფასების განხორციელებას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების დამლევსას.

3 მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (შემდეგში „ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად. თითოეულ დაკავშირებულ განმარტებით შენიშვნაში მოცემულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის მოითხოვს ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. სფეროების, სადაც მაღალი ხარისხისა და სირთულის განსჯა გამოიყენება, ასევე სფეროების, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ასევე გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული ვითარების გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები აღემატება მის მოკლევადიან აქტივებს 24,910,908 ლარით. მოკლევადიანი ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან ნასესხებ სახსრებს დარიცხული პროცენტით, 21,685,374 ლარის ოდენობით, რომელიც გადასახდელია იშბანკ საქართველოსთვის, ასევე საქართველოს ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი ვალის მოკლევადიან ნაწილს და მასთან დაკავშირებულ გადასახდელ პროცენტებს 10,687,503 ლარის ოდენობით, იხ. მე-13 შენიშვნა.

ისტორიულად, კომპანიამ ყველა თავისი საკრედიტო ხაზი სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან განაახლა. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებით დეტალები იხილეთ მე-13 შენიშვნაში. ყოველი სესხის გაცემის თარიღზე, ა.გ. ანაბეზო გრუბუ ჰოლდინგ ა.შ.-მ უზრუნველყო ვალის დაფარვის გარანტია, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვერ შეძლებს დამოუკიდებლად შეასრულოს გარკვეული ფინანსური ინსტიტუტების მიმართ დაკისრებული ვალდებულება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანია მიიჩნევს, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არსებულ სიტუაციას შეესაბამება და რომ ის შეძლებს ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში აქტივების რეალიზებასა და ვალდებულებების დაფარვას.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური ვალუტის კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული და აღრიცხულია პირვანდელი ღირებულებით, ლარში გადაიყვანება ტრანზაქციის დღეს მოქმედი სავალუტო კურსით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული და აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით, ლარში გადაიყვანება სამართლიანი ღირებულების დადგენის დღეს მოქმედი სავალუტო კურსით. ამგვარი ტრანზაქციების ანგარიშსწორებიდან და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშებით მიღებული მოგება და ზარალი აღიარებულია მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები იყო: 1 აშშ დოლარი = 2.8068 ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6894 ლარი); 1 ევრო = 2.9306 ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 1 ევრო = 2.9753 ლარი).

ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილება მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დადასტურებას, რომელმაც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა გამოსაცემად.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივების და ვალდებულებების თანხებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასება, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი შესწორებების გამოწვევა აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებული მხარეების ოპერაციების თავდაპირველი აღიარება – შემდგომი ინფორმაცია იხილეთ მე-7 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები – შემდგომი ინფორმაცია იხილეთ მე-8 შენიშვნაში.

საგადასახადო კანონმდებლობა და ანარიცხების აღრიცხვა - შემდგომი ინფორმაცია იხილეთ 23-ე შენიშვნაში.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდგომი ახალი სტანდარტები და შესწორებები შევიდა ძალაში 2024 წლის 1 იანვარიდან:

შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, შემდგომში შესწორდა 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.).

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს).

შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომელთა გამოყენებაც მანამდე კომპანიას არ დაუწყია.

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში - ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში (გამოცემულია 2024 წლის 30 მაისს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვარს, ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ფასს-ის სააღრიცხვო სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება (გამოცემულია 2024 წლის ივლისში და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული ელექტროენერგიის შესახებ ფასს 9-სა და ფასს 7-ში შეტანილ ცვლილებებს (გამოცემულია 2024 წლის 18 დეკემბერს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).

ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (გამოცემულია 2024 წლის 9 აპრილს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ფასს 14, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშები (გამოცემულია 2014 წლის 30 იანვარს და ძალაშია 2016 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია ოპერაციებს ახორციელებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს ოპერაციების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

ქართული ლარი	შენიშვნა	ძირითადი აქციონერი	სხვა აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სხვა მოთხოვნები		-	-	455,768
ვალდებულებები				
მიმწოდებლების მიმართ		7,941	-	-

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

ქართული ლარი	შენიშვნა	ძირითადი აქციონერი	სხვა აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სხვა მოთხოვნები		-	-	251,463
ვალდებულებები				
მიმწოდებლების მიმართ		3,620	-	-

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლის და ხარჯის მუხლები იყო შემდეგი:

ქართული ლარი	შენიშვნა	ძირითადი აქციონერი	სხვა აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ამონაგები		-	-	3,825,668
სხვა შემოსავალი		-	-	164,021
მომსახურების ხარჯები	15	745,651	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		27,464	-	-

სხვა შემოსავალი იწარმოება შპს „ტაბასათვის“ მიწოდებული საერთო და ადმინისტრაციული მომსახურებიდან. მომსახურების ხარჯებში შედის „აკაფის“ მიერ დარიცხული ხელმძღვანელობის საფასური, კომპანიისათვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურებისათვის.

ამონაგები მოიცავს ელექტროენერგიის ექსპორტს AES Elektrik Enerjisi Toptan Satış A.Ş.-სთვის, თურქეთში.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლის და ხარჯის მუხლები იყო შემდეგი:

ქართული ლარი	შენიშვნა	ძირითადი აქციონერი	სხვა აქციონერი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ამონაგები		-	-	11,851,124
სხვა შემოსავალი		-	-	157,964
მომსახურების ხარჯები	15	624,624	-	-
საპროცენტო ხარჯები	13	-	6,775,033	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		4,878	-	-

მთავარი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. მთავარი ხელმძღვანელი პირები მოიცავს კომპანიის გენერალურ მენეჯერსა და კომერციულ დირექტორს.

მთავარი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია წარმოდგენილი ქვემოთ:

ქართული ლარი	2024		2023	
	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება
მოკლევადიანი სარგებელი:				
- ხელფასები	1,238,270	-	1,171,899	-
- მოკლევადიანი ბონუსები	408,347	247,290	636,543	203,659
სულ	1,646,617	247,290	1,808,442	203,659

8 ძირითადი საშუალებები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ.

ცალ-ცალკე აღრიცხული ძირითადი საშუალებების მუხლის კომპონენტის შესაცვლელად გაწეული ხარჯი კაპიტალიზდება ჩამოწერილი ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულებით. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება, თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება დანახარჯებიდან. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის მცირე რემონტი და ტექნიკური ხარჯები, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც გაწეული ხარჯი.

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. კომპანია სათანადო ნაწილებს ძირითადი ტექნიკური სამუშაოებისთვის განმარტავს, როგორც ცალკე ჯგუფს, "დაუმონტაჟებელი მოწყობილობები". ამ ტიპის აქტივებს ძირითადი ტექნიკური სამუშაოების ჩატარებამდე ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების სხვა მუხლებზე ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების (ან გადაფასებული თანხები) ნარჩენ ღირებულებებზე გადასანაწილებლად მათი შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

აქტივების ჯგუფები	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობა -ნაგებობები (გვირაბი)	50 წელი
გადამცემი ხაზები და მასთან დაკავშირებული აღჭურვილობა	50 წელი
ინფრასტრუქტურული აქტივები	15 -დან 20 წლამდე
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	5-დან 20 წლამდე
ტრანსფორმატორები, გენერატორები და ჰესებთან დაკავშირებული აღჭურვილობა	15 წელი
ავტომობილები	5-დან 10 წლამდე
ავიჯი და მოწყობილობები	4-დან 7 წლამდე

კომპანიის ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებები გადაიხდება და საჭიროებისამებრ კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განსახიერებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივებისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი. გასათვალისწინებელია შემდგომი პირველადი ფაქტორები:(a) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება (b) მოსალოდნელი ცვეთა/გაფუჭება, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ექსპლუატაციის პროგრამაზე; და (c) საბაზრო პირობების ცვლილებებისგან წარმოქმნილი ტექნიკური თუ კომერციული მოძველება.

სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადები 10%-ით რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან, ცვეთაზე გავლენა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის იქნებოდა მისი 1,008 ათასი ლარით ზრდა ან შემცირება (2023: 1,007 ათასი ლარით ზრდა ან შემცირება).

შპს საქართველო-ურბან ენერჯი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2024 წლის 31 დეკემბერი

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ქართული ლარი	მიწა და შენობა ნაგებობები	ტრანსფორმატორები, გენერატორები და ჰესთან დაკავშირებული აღჭურვილობა	გადამცემი ინფრასტრუქტურული ხაზები და შესაბამისი აღჭურვილობა	ტურნული აქტივები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	ავიჯი და ტომობილები	დაუმონტაჟებული მოწყობილობები*	დაუმთავრებელი მშენებლობა**	სულ
თვითღირებულება									
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	208,909,021	82,550,409	12,679,377	2,077,761	1,062,496	332,134	129,953	555,003	- 308,296,154
დამატებები	-	-	-	-	21,258	118,190	-	-	- 139,448
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	208,909,021	82,550,409	12,679,377	2,077,761	1,083,754	450,324	129,953	555,003	- 308,435,602
დამატებები	-	-	-	59,266	-	9,013	-	-	830,174 898,453
გასვლები	-	-	-	-	-	(3,295)	-	-	(3,295)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	208,909,021	82,550,409	12,679,377	2,137,027	1,083,754	456,042	129,953	555,003	830,174 309,330,760
დაგროვილი ცვეთა									
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(34,486,235)	(45,400,682)	(2,092,149)	(1,266,768)	(1,040,545)	(301,369)	(129,953)	-	- (84,717,701)
ცვეთის დარიცხვა	(4,180,756)	(5,503,360)	(253,587)	(105,615)	(8,442)	(22,303)	-	-	- (10,074,063)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(38,666,991)	(50,904,042)	(2,345,736)	(1,372,383)	(1,048,987)	(323,672)	(129,953)	-	- (94,791,764)
ცვეთის დარიცხვა	(4,180,756)	(5,503,360)	(253,590)	(106,274)	(6,712)	(35,168)	-	-	- (10,085,860)
გასვლისას ელიმინირებული	-	-	-	-	-	934	-	-	- 934
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(42,847,747)	(56,407,402)	(2,599,326)	(1,478,657)	(1,055,699)	(357,906)	(129,953)	-	- (104,876,690)
საბალანსო ღირებულება									
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	170,242,030	31,646,367	10,333,641	705,378	34,767	126,652	- 555,003	-	213,643,838
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	166,061,274	26,143,007	10,080,051	658,370	28,055	98,136	- 555,003	830,174	204,454,070

(*) დაუმონტაჟებული მოწყობილობები - ჰესის სათადარიგო ტრანსფორმატორები და ელექტრომოწყობილობის სხვა ნაწილები, რომლებიც აუცილებელია ძირითადი ტექნიკური მომსახურების შესასრულებლად.

(**) CIP – დაუმთავრებელი მშენებლობა - კომპანიამ 2024 წელს დაიწყო ჰესის კაპიტალური რემონტი და ტექნიკური მომსახურების სამუშაოები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა ინფრასტრუქტურული აქტივებისა, დაუმონტაჟებული მოწყობილობებისა და დაუმთავრებელი მშენებლობისა, შპს “საქართველო - ურბან ენერჯი” ძირითადი საშუალებები მთლიანად იყო დაგირავებული საქართველოს ბანკიდან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად (შენიშვნა 13).

9 მარაგები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება პირველი შემავალი, პირველი გამომავალი („ფიფო“) საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი საქმიანობის ნორმალური მსვლელობისას, დასრულების და გაყიდვის ხარჯების შეფასებული ღირებულების გამოკლებით.

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სათადარიგო ნაწილები	1,162,846	1,095,702
სხვა	16,113	15,304
სულ მარაგები	1,178,959	1,111,006

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას ამორტიზირებული ღირებულებით შეფასების კატეგორიაში ახორციელებს.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. კომპანიის მიზანია აქტივებიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება (‘სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი’)

გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურებისთვის იყენებს გამარტივებულ მიდგომას. მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდის პროფილებს 24 თვის განმავლობაში 2024 წლის 31 დეკემბრამდე და 2023 წლის 31 დეკემბრამდე, შესაბამისად, და შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში იქნა გამოცდილი. ისტორიული ზარალის კოეფიციენტები კორექტირებულია, რათა აისახოს მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაცია იმ მაკროეკონომიკურ ფაქტორებთან დაკავშირებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კლიენტების მიერ მოთხოვნების ანგარიშსწორების უნარზე.

ისტორიულ საკრედიტო ზარალს ადგილი არ ჰქონია წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში. ხელმძღვანელობას მაკროეკონომიკური ფაქტორები შემდგომი ანალიზისთვის არ გამოუყენებია, რადგან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც განსაზღვრულია არარსებული საკრედიტო ზარალის სტატისტიკის საფუძველზე, იქნებოდა უმნიშვნელო.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოღინება.

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

<i>ქართული ლარი</i>	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	3,337,128	3,020,113
სხვა მოთხოვნები	455,768	251,463
სულ ფინანსური მოთხოვნები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	3,792,896	3,271,576
ავანსად გადახდილი საგადასახადო ხარჯები	996,912	176,050
ავანსად გადახდილი ხარჯები	38,530	60,408
ავანსი თანამშრომლებისთვის	160	723
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,828,498	3,508,757

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი მიღებულია ადგილობრივი ბაზრის ოპერატორ ს.ს. “ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორზე” ელექტროენერგიის მიყიდვის შედეგად.

გაყიდვებზე საშუალო საკრედიტო პერიოდია 30 დღე. დაუფარავ სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ან სამ თვემდე ვადით განთავსებულ სახსრებს ბანკებში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საბანკო დეპოზიტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია საპროგნოზო საფუძველზე აფასებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ანარიცხის გარეშე.

მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტები განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც გააჩნიათ “B+” და “BB” რეიტინგი (2023 წლის 31 დეკემბერი: “B+” და “BB“, შესაბამისად) Fitch Ratings-ის მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამ ნაშთებისთვის 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის ნულის ტოლი.

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	2,087,550	1,773,992
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,087,550	1,773,992

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მთლიანად კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი და არ არის გაუფასურებული. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,369,365 ლარის ეკვივალენტი (2023 წლის 31 დეკემბერი: 1,465,609 ლარი) ფლობილი იყო აშშ დოლარში.

კომპანიის ლარში დენომინირებული მიმდინარე ანგარიშებისთვის წლიური საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 0% -დან 8%-მდე, ხოლო 0%-დან 3.3% -მდე - აშშ დოლარში დენომინირებული მიმდინარე ანგარიშებისთვის.

12 საწესდებო კაპიტალი**არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა**

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება (მათ შორის, საწესდებო კაპიტალის, მფლობელობის და სხვა) შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის წილების მფლობელების გადაწყვეტილებით. ავტორიზებული კაპიტალი კომპანიის საკუთარ კაპიტალში საწესდებო კაპიტალად აღიარდება წილების მფლობელების გადაწყვეტილებით.

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
წილების მფლობელების მიერ შეტანილი კაპიტალი	123,638,980	123,638,980
სულ შეტანილი კაპიტალი	123,638,980	123,638,980

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ავტორიზებულმა და სრულად შემოტანილმა საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 123,638,980 ლარი. 2023 წლის 24 აგვისტომდე ეს მოიცავდა „ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარი ანონიმ სირკეტის“ მიერ შემოტანილ 115,333,480 ლარს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ შემოტანილ 8,305,500 ლარს. 2023 წლის 24 აგვისტოს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა გამოიყენა მისი ფუთ-ოფციონი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და სს ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარი-ს შორის 2011 წლის 20 სექტემბერს გაფორმებული ქოლ-ოფციონის შეთანხმების მიხედვით და გაყიდა შპს საქართველო - ურბან ენერჯის 10% წილობრივი მონაწილეობა. 2024 წლის 4 სექტემბრიდან სს ანადოლუ კავკასია ენერჯი იატირიმლარი გახდა 100% წილის მფლობელი, როდესაც წილობრივი მონაწილეობის სტრუქტურის ცვლილება დაამტკიცა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრმა.

13 ნასესხები სახსრები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

აღიარება და შეფასება. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, იმ შემთხვევაში, თუ თავდაპირველი აღიარებისას ისინი არ განეკუთვნებიან სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით კატეგორიას.

აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

კომპანიასა და მის თავდაპირველ გამსესხებლებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობების მქონე ნასესხები სახსრების გაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული დღევანდელი ღირებულება, გადახდილი საკომისიოს ჩათვლით და მიღებული საკომისიოს გამოკლებით, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული დღევანდელი ღირებულებისგან. როდესაც ნასესხები სახსრების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება დაფარვის სახით აღირიცხება, ნებისმიერი გაწეული დანახარჯი ან საკომისიო აღიარდება დაფარვისას წარმოქმნილი შემოსულობის ან ზარალის ნაწილად. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება დაფარვის სახით არ აღირიცხება, ნებისმიერი დანახარჯით ან საკომისიოთი კორექტირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულება და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილ ვადაში.

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი		2023 წლის 31 დეკემბერი	
	მოკლევადიანი ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები
ვადიანი სესხები – „საქართველოს ბანკი“	10,687,502	167,982,061	9,203,214	185,123,693
საკრედიტო ხაზი - „იშბანკ საქართველო“	21,685,374	-	29,453,152	-
სულ ნასესხები სახსრები	32,372,876	167,982,061	38,656,366	185,123,693

13 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

2023 წლის 18 ოქტომბერს, კომპანიამ გააფორმა გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულება საქართველოს ბანკთან საკრედიტო ხაზის საერთო ოდენობით 85,000,000 აშშ დოლარი (238,578,000 ლარი), 240 თვის ვადით. იმავე დღეს გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება GCLA-ს საფუძველზე და შესაბამისად კრედიტის საერთო ოდენობით 71,000,000 აშშ დოლარი (199,282,800 ლარი) 180 თვის ვადით. კრედიტი სრულად იქნა გამოყენებული ერგბ-ისა და სსკ-ს მიერ გაცემული სესხების დარჩენილი ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის გადასახდელად. საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია რომ იქნება ფიქსირებული კრედიტის მოქმედების ვადის პირველი 24 თვის განმავლობაში, ხოლო შეთანხმებული მარჟის ჯამი და 6-თვიანი უზრუნველყოფილი ერთდღიანი საფინანსო განაკვეთი (SOFR) დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. პროცენტისა და ძირითადი თანხის დაფარვა 2024 წელს დაიწყო.

2024 წლის 16 დეკემბერს კომპანიამ ბანკთან ხელახლა მოილაპარაკა 2023 წლის 18 ოქტომბერს მიღებული სესხის პირობები, რის შედეგადაც შემცირდა საპროცენტო განაკვეთი და მოგებაში ან ზარალში აღიარდა მოდიფიცირების შემოსულობა 19,758,937 ლარის ოდენობით (შენიშვნა 21).

2023 წლის 27 აპრილს კომპანიამ საქართველოს ბანკთან გააფორმა საბანკო კრედიტის დამატებითი ხელშეკრულება 2,500,000 აშშ დოლარის კრედიტის ოდენობით (7,017,000 ლარი). 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კრედიტი სრულად იქნა გამოყენებული ერგბ-ისთვის და სსკ-სთვის გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადასახდელად.

2023 წლის 3 ნოემბერს კომპანიამ საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების გაფორმებით განაახლა არსებული მოკლევადიანი სესხები საქართველოს ბანკთან, 2023 წლის 18 ოქტომბერს გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, საერთო ოდენობით 12,500,000 აშშ დოლარი (35,085,000 ლარი), რომელიც შემცირდა 8,970,114 აშშ დოლარამდე (25,177,316 ლარი) 2024 წლის 8 ნოემბერს დაფარვის თარიღამდე.

2024 წლის 8 ნოემბერს კომპანიამ გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება სს იშბანკ საქართველოსთან 12,500,000 აშშ დოლარის ოდენობით (35,085,000 ლარი), დაფარვის თარიღით 2025 წლის 8 ნოემბერი. 2024 წლის 8 ნოემბერს, კომპანიამ საკრედიტო ხაზიდან აითვისა 8,970,114 აშშ დოლარი (24,513,527 ლარი), რომელიც გამოყენებულ იქნა საქართველოს ბანკიდან სესხის დასახურად.

გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად საქართველოს ბანკიდან მიღებული სასესხო საშუალებების სრულად და სათანადოდ უზრუნველყოფის მიზნით კომპანიასა და საქართველოს ბანკს შორის გაფორმდა იპოთეკისა და გირავნობის ხელშეკრულებები, კომპანიის უძრავი და მოძრავი აქტივები მთლიანად დაგირავდა, როგორც უზრუნველყოფა, ასევე აკაფ-სა და საქართველოს ბანკს შორის გაფორმდა წილის გირავნობის ხელშეკრულება დამგირავებლის ვალდებულების მაქსიმალური ოდენობით, რომელიც განისაზღვრება 85 000 000 აშშ დოლარით ან მისი ეკვივალენტით სხვა ვალუტაში, ბანკში დადგენილი კომერციული კურსით (შენიშვნა 8).

ნასესხები სახსრების მოძრაობა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში იყო:

შპს საქართველო-ურბან ენერჯი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2024 წლის 31 დეკემბერი

13 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ქართული ლარი	საქართველოს ბანკი (ვადიანი სესხი)	საქართველოს ბანკი (საკრედიტო ხაზი)	იშბანკი (საკრედიტო ხაზი)	სულ
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	194,326,904		-	
		29,453,152		223,780,056
დამატებები წლის განმავლობაში	-	18,463,020	24,513,527	42,976,547
წლის პროცენტი (შენიშვნა 21)	20,357,217	1,742,515	252,035	22,351,766
გადახდილი პროცენტი	(18,528,221)	(1,768,225)	(248,444)	(20,544,890)
გადახდილი ძირითადი თანხა	(5,883,354)	(48,467,189)	(3,450,859)	(57,801,402)
მოდიფიცირების (შემოსულობა)/ზარალი	(19,758,937)	-	-	(19,758,937)
სავალუტო (შემოსულობა)/ზარალი, ნეტო	8,155,954	576,727	619,115	9,351,797
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	178,669,563	-	21,685,374	200,354,937

ნასესხები სახსრების მოძრაობა 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში იყო:

ქართული ლარი	საქართველოს ბანკი (ვადიანი სესხი)	ერგბ	სსკ	საქართველოს ბანკი (საკრედიტო ხაზი)	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-				
	114,305,170	93,466,171	27,271,064		235,042,405
დამატებები წლის განმავლობაში	191,678,700	-	-	40,004,750	231,683,450
წლის პროცენტი (შენიშვნა 21)	3,394,527	8,774,435	7,251,272	2,129,135	21,549,369
გადახდილი პროცენტი	-	(10,160,039)	(8,313,549)	(2,368,811)	(20,842,399)
გადახდილი ძირითადი თანხა	-	(113,494,242)	(92,927,010)	(37,936,869)	(244,358,121)
ნასესხები სახსრების ადრეულად დაფარვის შედეგად მიღებული ზარალი, შემოსულობის გამოკლებით	-	1,252,560	1,024,822	-	2,277,382
სავალუტო (შემოსულობა)/ზარალი, ნეტო	(746,323)	(677,884)	(501,706)	353,883	(1,572,030)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	194,326,904	-	-	29,453,152	223,780,056

მოკლევადიანი ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებასთან არის მიახლოებული. სამართლიანი ღირებულებები ეფუძნება ფულად ნაკადებს, რომლებიც დისკონტირებულია განაკვეთით, რომელიც ეფუძნება საშუალო სასესხო განაკვეთს 7-12% (2023: 7-12%) და წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეორე დონეს.

14 ამონაგები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება. კომპანია მის ამონაგებს აწარმოებს ელექტროენერგიის საქართველოში და თურქეთში გაყიდვის შედეგად.

ამონაგები აღიარდება დისკონტების, დაბრუნებებისა და დამატებული ღირებულების გადასახადების გარეშე.

ადგილობრივ ბაზარზე ელექტროენერგიის გაყიდვები. ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომლის განმავლობაშიც კონტროლი ელექტროენერგიაზე გადავიდა კონკრეტულ ლოკაციაზე. შესრულების ვალდებულება კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მისაღებ ამონაგებზე შესრულებულად ითვლება დროთა განმავლობაში კლიენტის მიერ სარგებლის მიღებისა და გამოყენების პარალელურად.

გენერირებული ელექტროენერგიის გაყიდვა აისახება მიწოდებული ელექტროენერგიის საფუძველზე და გამოითვლება მოქმედი ტარიფებით..

ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორთან („ესკო“) გაფორმებული ხელშეკრულების პირობების მიხედვით, კომპანიის ტარიფები წინასწარაა დადგენილი აშშ დოლარში და ამონაგების აღიარება ეფუძნება თვის ბოლო დღეს მოქმედ გაცვლით კურსს.

ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გაყიდვები. ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გაყიდვის შემთხვევაში, თურქეთის საზღვარზე მიწოდებული ელექტროენერგიის ფასი გამოითვლება საათობრივი საბაზრო ფასის ყოველთვიური საშუალო შეწონილი ღირებულების მიხედვით, კონკრეტულად „საბაზრო საკლირინგო ფასი“, რომელიც წარმოდგენილია თურქეთში ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორის ოფიციალურ ვებ გვერდზე. - Enerji Piyasaları İşletme A.Ş. („EPIAŞ“), რომელიც შემცირებულია დისკონტირების განაკვეთით.

მომხმარებლებს ანგარიშ-ფაქტურა წარედგინებათ ყოველთვიურ საფუძველზე და ანაზღაურება გადასახდელია ანგარიშფაქტურის წარდგენისას.

ქართული ლარი	2024	2023
ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე	44,364,622	31,648,374
ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გაყიდვები	3,825,668	11,851,124
სულ ამონაგები	48,190,290	43,499,498

15 მომსახურების ხარჯები

ქართული ლარი	2024	2023
დაზღვევის ხარჯები	1,024,812	765,167
გადაცემისა და ელექტროენერგიის გაყიდვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	769,563	2,541,636
ხელმძღვანელობის საფასური	745,651	624,624
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯები	431,497	480,761
უსაფრთხოების ხარჯები	183,051	160,678
ტრანსპორტირების ხარჯები	78,408	78,408
სხვა ხარჯები	5,396	6,285

სულ მომსახურების ხარჯები	3,238,378	4,657,559
---------------------------------	------------------	------------------

გადაცემის და ელექტროენერგიის გაყიდვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები მოიცავს ესკო-ს მომსახურებას, გადაცემის მომსახურებისა და გარანტირებული სიმძლავრის საფასურს, რომლებიც უზრუნველყოფილია შესაბამისად სსე-სა და ესკო-ს მიერ. გადაცემის მომსახურებისა და გარანტირებული სიმძლავრის ხარჯები მხოლოდ ელექტროენერგიის ექსპორტის დროს გაიწევა.

16 პერსონალის ხარჯები**არსებითი საღრიცხო პოლიტიკა**

თანამშრომელთა სარგებელი. ხელფასები, ჯამაგირები, წლიური შვებულების და ბიულეტენის ანაზღაურება, ბონუსები და სხვა სარგებელი (კვება, ცხოვრება, ტრანსპორტირება, ა.შ.) ირიცხება იმ პერიოდში, როდესაც კომპანიის თანამშრომლები შესაბამის მომსახურებას გასწევენ. 2019 წლის 1 იანვრიდან კომპანია ვალდებულია, გადაიხადოს თანამშრომელთა მთლიანი ხელფასებისა და სარგებლის 2%-ის ოდენობის საპენსიო შენატანები.

ქართული ლარი	2024	2023
სახელფასო ხარჯი	3,905,141	4,214,958
კვების ხარჯი	145,846	124,422
დაზღვევის ხარჯი	62,904	49,115
თანამშრომელთა ტრენინგების ხარჯი	30,278	9,944
სულ პერსონალის ხარჯი	4,144,169	4,398,439

17 საგადასახადო ხარჯები

ქართული ლარი	2024	2023
საკუთრებისა და მიწის გადასახადის ხარჯი	1,989,108	2,081,517
სხვა გადასახადები	7,276	6,777
სულ საგადასახადო ხარჯები	1,996,383	2,088,293

შპს საქართველო-ურბან ენერჯი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2024 წლის 31 დეკემბერი

18 სხვა საოპერაციო ხარჯები

<i>ქართული ლარი</i>	2024	2023
ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის რეგულირების საფასური	144,571	130,498
მოვლა-შენახვის ხარჯები	135,329	144,683
ავტომატებისა და საწვავის ხარჯები	68,846	61,942
კომუნალური ხარჯები	29,936	29,929
ინფორმაციული ტექნოლოგიების ლიცენზიის ხარჯი	20,646	22,165
საკომუნიკაციო ხარჯები	19,818	20,210
საოფისე ხარჯები	13,274	12,880
მივლინების ხარჯები	9,876	8,573
საქველმოქმედო ხარჯები	2,851	3,298
სხვა ხარჯები	50,075	66,552
სულ, სხვა საოპერაციო ხარჯები	495,222	500,730

19 ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები

<i>ქართული ლარი</i>	2024	2023
ძირითადი საშუალებების ცვეთა	10,085,858	10,074,064
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა	193,163	197,177
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	4,800	4,529
სულ ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	10,283,821	10,275,770

20 ფინანსური შემოსავალი

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური შემოსავალი. ფინანსური შემოსავალი მოიცავს ინვესტირებულ თანხებზე საპროცენტო შემოსავალს, ასევე სავალუტო შემოსულობებს და ზარალს, რომელიც დაკავშირებულია ნასესხებ სახსრებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან.

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დარიცხვისას, აქტივზე ეფექტური შემოსავლის გათვალისწინებით.

<i>ქართული ლარი</i>	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	94,705	304,247
წმინდა სავალუტო შემოსულობა	-	1,315,363
მოდIFIცირების შემოსულობა	19,758,937	-
სულ ფინანსური შემოსავალი	19,853,642	1,619,610

21 ფინანსური ხარჯები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ხარჯები. ფინანსური ხარჯები მოიცავს ნასესხებ სახსრებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს, სავალუტო შემოსულობას და ზარალს, რომლებიც დაკავშირებულია ნასესხებ სახსრებთან და ფულად სახსრებთან და მათ ეკვივალენტებთან.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა საპროცენტო და სხვა ხარჯი გაწეულად აღიარდება ფინანსური ხარჯების ფარგლებში მათი გაწევის მომენტში.

ქართული ლარი	2024	2023
საპროცენტო ხარჯები (შენიშვნა 13)	22,351,766	21,549,369
ნასესხები სახსრების ადრეული დაფარვის შედეგად მიღებული ზარალი, შემოსულობის გამოკლებით (შენიშვნა 13)	-	2,277,383
წმინდა სავალუტო ზარალი	9,468,342	-
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	28,871	24,968
ბანკის საკომისიო	5,224	1,046,540
სხვა ფინანსური ხარჯები	12,295	289,474
სულ ფინანსური ხარჯები	31,866,498	25,187,734

22 მოგების გადასახადი

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ირიცხება ანგარიშგების თარიღისთვის სრულად ან არსებითად ძალაში შესული საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. შეცვლილი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (ძველად მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიცემოდა).

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან, რაც ვრცელდება კომპანიაზე. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურად განხორციელებულ, აგრეთვე განზრახულ მოგების განაწილებას, მათ შორის, შემდეგს:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არ ეხება ეკონომიკურ საქმიანობას;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადაცემა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ თანხას.

განაწილებულ მოგებაზე მოგების გადასახადი აღიარდება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მოგების გადასახადად აღრიცხვისთანავე. მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის აისახება იმ ოდენობით, რომელიც სავარაუდოდ, გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს ან მიიღება მათგან.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული გადასახადის გარდა ზემოთხსენებულ სხვა კატეგორიებზე დარიცხული გადასახადი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საგადასახადო ხარჯების სახით.

გადასახადების ცნების ცვლილების გამო ტერმინი “აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა” კარგავს დამახასიათებელ ეკონომიკურ მნიშვნელობას. ახალი საგადასახადო მოდელით ბასს 12 – „მოგების გადასახადის“ მიხედვით განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღარ არის გაოყენებადი.

23 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

საგადასახადო კანონმდებლობა და ანარიცხების აღრიცხვა. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება იმ საგადასახადო პოზიციებისთვის, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ განისაზღვრება, როგორც ნაკლებად სავარაუდოდ შენარჩუნებული, თუ საგადასახადო ორგანოების მიერ გამოწვევების წინაშე დადგება, რაც ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან არსებითად ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის თარიღისთვის. მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის თარიღისთვის ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე.

საგადასახადო გაუთვალისწინებელი მოვლენები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებით, ოფიციალური დოკუმენტების გამოცემით და სასამართლოს გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, ურთიერთსაწინააღმდეგო და ექვემდებარება მრავალგვარ ინტერპრეტაციას სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადების მიმოხილვასა და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ, რომელთაც გააჩნიათ მკაცრი ჯარიმების, საურავებისა და საპროცენტო ხარჯის დაკისრების უფლებამოსილება. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოების მიერ შესაძლებელია შემოწმდეს სამი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში, ზოგ შემთხვევაში კი - უფრო დიდი ხნის მანძილზეც.

ამ პრობებიდან გამომდინარე საქართველოში შეიძლება წარმოიქმნას ისეთი საგადასახადო რისკები, რომლებიც არსებითად უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მას სათანადოდ უზრუნველყოფილი აქვს საგადასახადო ვალდებულებები შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების მისეული ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავებული აღმოჩნდეს და თუ ამ ორგანოებმა წარმატებით აღასრულეს საკუთარი ინტერპრეტაციები, გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

საქართველოს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2021 წლის 25 მარტის ბრძანება M8628 თანახმად, სამსახურმა წამოიწყო კომპანიის კონტროლირებული ტრანზაქციების დოკუმენტური აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს. მიზანი იყო შემოწმებულიყო „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპებთან შესაბამისობა და საგადასახადო რეჟიმების გამოყენება. 2021 წლის 30 დეკემბერს, საგადასახადო შეფასების აქტის („TP Act“) მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახურმა ჩათვალა, რომ კომპანიის მიერ „AES Elektrik Enerjisi Tiptan Satis A.S.“-თვის (AES) გადახდილი ანაზღაურების თანხა დასაბეგრი მოგების განაწილება იყო. რაც შედეგად აისახა დამატებით გადასახადებსა და ჯარიმებში, რომლებმაც მთლიანად 684,784 ლარი შეადგინა.

კომპანიამ შემოსავლების სამსახურში, შემდგომში კი ფინანსთა სამინისტროში გაასაჩივრა მოცემული აქტი. 2024 წლის 31 იანვარს ფინანსთა სამინისტროს კომპანიის საჩივრის უარყოფის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, კომპანიამ სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისათვის საჩივარი სასამართლოს მიერ მიღებულია და მუშავდება.

სამართლებრივი დავები. 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ დავაში, გარდა ზემოთ აღნიშნული საგადასახადო დავისა. ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ კომპანიას არ დაეკისრება რაიმე არსებითი სახის დაურიცხავი ზარალი და შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ არის შექმნილი.

23 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ვითარდება და სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან აღსრულების პრაქტიკა მუდმივად იცვლება. კომპანია პერიოდულად აფასებს გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვის მის ვალდებულებებს. ვალდებულებათა დადგენისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას არსებული რეგულაციების, აგრეთვე სამოქალაქო პროცესებისა თუ კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, სარწმუნოდ შეფასება არ არის შესაძლებელი, თუმცა, შეიძლება იყოს არსებითი. არსებულ აღსრულების გარემოში, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მიყენებული ეკოლოგიური ზიანით გამოწვეულ მნიშვნელოვან ვალდებულებებს ადგილი არ აქვთ.

ურთიერთგაგების მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებები. 2007 წლის 29 მაისს კომპანიამ და საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, მდინარე ფარავანზე 87 მეგავატიანი ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობის თაობაზე. აღნიშნული მემორანდუმის მიხედვით, კომპანია ვალდებულია, ზამთრის სამი თვის (დეკემბერი-თებერვალი) განმავლობაში, გენერირებული ელექტროენერგია ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორს მიყიდოს მინიმალურ გარანტირებულ ფასად 4.7 აშშ ცენტი/კილოვატსაათი. მემორანდუმის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ (სანამ კომპანია მთლიანად არ ამოიღებს მემორანდუმის ფარგლებში ჩადებულ ინვესტიციას, მაგრამ არა უმეტეს 15 წლის განმავლობაში ჰესის მშენებლობის შეკვეთიდან), ზემოაღნიშნული შეზღუდვები მოიხსნება და კომპანიას უფლება ექნება, თავისუფლად გაყიდოს ან/და ექსპორტზე გაიტანოს მის მიერ გენერირებული მთელი ელექტროენერგია თავისსავე პირობებზე და მესამე მხარეებსა და ქვეყნებში.

2020 წლის 28 თებერვალს კომპანიამ ხელი მოაწერა 2009 წლის 27 მაისს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის დამატებას, რომლითაც კომპანიამ აიღო ვალდებულება, 2020-2024 წლებში გაეყიდა მთლიანი ფაქტობრივად გენერირებული ელექტროენერგია ექსკლუზიურად ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისთვის (სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი).

2023 წლის 21 აპრილს, საქართველოს მთავრობასთან 2009 წლის 27 მაისს ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიას მიენიჭა უფლება ელექტროენერგიის ექსპორტზე თურქეთში 2023 და 2024 წწ. ზაფხულის თვეებში (მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო).

საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, კომპანია სრულად აკმაყოფილებდა აღნიშნულ საინვესტიციო ვალდებულებებს.

შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან. კომპანიას ექვემდებარება გარკვეულ შეთანხმებულ პირობებს, რომლებიც პირველ რიგში დაკავშირებულია საქართველოს ბანკისგან აღებულ სესხებთან, მათ შორის DSCR- ფულადი ვალდებულების მომსახურების კოეფიციენტი- და DEBT/EBITDA (ვალი/შემოსულობა პროცენტის დარიცხვამდე, გადასახადებამდე, ცვთამდე და ამორტიზაციამდე). საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით კომპანია შესაბამისობაშია აღნიშნულ შეთანხმებებთან.

24 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია რისკებს განიხილავს ფინანსური (საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო, ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის) და სამართლებრივი რისკების თვალსაზრისით. კომპანიის ფინანსური რისკის მართვის უმთავრესი ამოცანაა რისკის საზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკისადმი დაქვემდებარება ამ ფარგლებში შენარჩუნდეს. კომპანია ამჟამად მუშაობს მისი ფინანსური და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციების შემუშავებაზე. კომპანიაში ამჟამად არსებული პრაქტიკა, მათ შორის, მოწილე კომპანიის მხრიდან განხორციელებული ზედამხედველობა და ახალი ინიციატივები, მიზნად ისახავს ისეთი შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებს ფინანსურ და სამართლებრივ რისკებს მიმდინარე და სამომავლო პერიოდებში.

საკრედიტო რისკი. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთერთი მხარე, ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე, გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარება წარმოიქმნება კომპანიის საქონლის საკრედიტო პირობებით გაყიდვიდან და კონტრაქტებთან ფინანსური აქტივების წარმომქმნელი სხვა ტრანზაქციებიდან.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზეგავლენა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი არის კომპანიის საქმიანობაზე მოქმედი უმსხვილესი რისკი; ამდენად, ხელმძღვანელობა ყურადღებით მართავს საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარებას.

საკრედიტო რისკის შეფასება მისი მართვის მიზნით რთული პროცესია და გულისხმობს მოდელების გამოყენებას, რადგან რისკი ცვლადია ბაზრის პირობების, მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და დროის გასვლის შესაბამისად. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება აგრეთვე მოიცავს დეფოლტის ალბათობის, შესაბამისი ზარალის კოეფიციენტებისა და კონტრაქტებს შორის დეფოლტების კორელაციის გაანგარიშებას.

ზღვრები. კომპანია საკრედიტო რისკის დონეების სტრუქტურუზებას ახორციელებს ერთ მსესხებელთან, ან მსესხებელთა ერთ ჯგუფთან მიმართებაში, აგრეთვე გეოგრაფიულ და დარგობრივ სეგმენტებზე მისაღები რისკის ოდენობებზე ზღვრების დაწესებით. პროდუქტებისა და დარგის მიხედვით საკრედიტო რისკის დონეზე რისკის ზღვრებს ხელმძღვანელობა რეგულარულად ამტკიცებს. ამგვარი რისკები სისტემატიურ მონიტორინგს ექვემდებარება და ყოველწლიურად ან უფრო ხშირად გადაიხედება.

ზოგადად, სავაჭრო მოთხოვნებზე უზრუნველყოფის მოთხოვნა არ ხდება. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ერთი კლიენტისთვის - ესკოს-სთვის არის მიკუთვნებული.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში ჩართული საპროგნოზო ინფორმაცია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გათვალისწინებულია დასაბუთებული საპროგნოზო ინფორმაცია. კომპანიამ გამოყო რამდენიმე მთავარი ეკონომიკური ცვლადი, რომლებიც შეესაბამება საკრედიტო რისკისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დინამიკას. ეკონომიკური ცვლადების პროგნოზებს („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) თავად კომპანია ადგენს. პროგნოზი არის მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში მოსალოდნელი მაკრო-ეკონომიკური განვითარების მისეული შეფასება. კომპანია აანალიზებს იმ ქვეყნების მაკრო-ფაქტორებს, სადაც ის მომსახურებას ჰყიდის. 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მოთხოვნების სრული ოდენობა არის ადგილობრივი კლიენტის - ესკო-ს მიმართ. კომპანიამ გააანალიზა საქართველოს მაკრო-ეკონომიკური სცენარები და შესაბამისი კოეფიციენტები სეზ-ის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით. კომპანიის დებიტორთა წარსული ქცევის გათვალისწინებით, კომპანიამ დაადგინა, რომ მშპ და გაცვლითი კურსი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც მოთხოვნების ამოღებაზე მოქმედებს და, შესაბამისად, გააკეთა ისტორიული ზარალის განაკვეთების კორექტირება ამ ფაქტორებში მოსალოდნელი ცვლილებების მიხედვით.

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ისტორიულ საკრედიტო ზარალს ადგილი არ ჰქონია წინასწარ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. ხელმძღვანელობას არ გამოუყენებია მაკროეკონომიკური ფაქტორები შემდგომი ანალიზისთვის, რადგან არარსებული საკრედიტო ზარალის სტატისტიკაზე დაფუძნებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელო იქნებოდა.

კომპანია რეგულარულად ამოწმებს გამოყენებულ მეთოდოლოგიასა და გაკეთებულ დაშვებებს შეფასებულ და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარება აქტივების კლასის მიხედვით ასეთია:

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 10)	3,792,896	3,271,576
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 11))	2,087,550	1,773,992
სულ საკრედიტო რისკისადმი მაქსიმალური დაქვემდებარება	5,880,446	5,045,568

საბაზრო რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები ძირითადად დაკავშირებულია ღია სავალუტო პოზიციებთან, რომლებზეც ბაზრის ზოგადი და სპეციფიკური მოძრაობის გავლენა ვრცელდება. დირექტორთა საბჭო ადგენს რისკის მისაღებ დონეს და შემდეგ თავის შეხედულებისამებრ უწევს მას მონიტორინგს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ აღმოფხვრის მისაღებ დონეზე მეტი ზარალის შემთხვევებს შედარებით მნიშვნელოვანი უარყოფითი საბაზრო ცვლილებების პირობებში.

საბაზრო რისკების მიმართ ქვემოთ მოცემული მგრძნობელობა ეფუძნება ერთი ფაქტორის ცვლილებას სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ამგვარი მდგომარეობა ნაკლებად სავარაუდოა და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება შეიძლება ერთმანეთთან კორელაციაში იყოს. ასეთია, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება და ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილება.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიცვლება ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების პარალელურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი			2023 წლის 31 დეკემბერი		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	4,508,756	(467,230)	4,041,526	3,579,565	(541,189)	3,038,376
აშშ დოლარი	1,369,365	(200,450,377)	(199,081,012)	1,465,609	(224,167,634)	(222,702,025)
ევრო	2,133	(210,627)	(208,494)	190	(214,721)	(214,531)
თურქული ლირა	192	(7,941)	(7,749)	204	(3,620)	(3,416)
სულ	5,880,446	(201,136,175)	(195,255,729)	5,045,568	(224,927,164)	(219,881,596)

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია მოგების, ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლო ცვლილებებზე კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, ხოლო ყველა სხვა ცვლადი შენარჩუნებულია უცვლელად: აშშ დოლარში დენომინირებული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, საბანკო დეპოზიტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, ნასესხები სახსრებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანით გამოწვეული ზარალი / შემოსულობა.

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განუვითარებელი ბაზრის გამო, ხელმძღვანელობა არ ახდენს კომპანიის სავალუტო რისკის ჰეჯირებას.

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(39,816,202)	(44,481,006)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	39,816,202	44,481,006

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია საპროცენტო განაკვეთის რისკს ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც კომპანიაში შემავალი საწარმოები სახსრებს სესხულობენ როგორც ფიქსირებული, აგრეთვე ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით. ამ რისკს კომპანია მართავს ამ ორი ტიპის განაკვეთებით ნასესხები სახსრების სათანადო ბალანსის დაცვით. კომპანიის დაქვემდებარება ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე მოქმედ საპროცენტო განაკვეთებზე აღწერილია წინამდებარე შენიშვნის ლიკვიდობის რისკის მართვის ქვეთავში.

ქვემოთ მოცემული მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საპროცენტო განაკვეთების მიმართ დაქვემდებარების საფუძველზე. ცვლად-განაკვეთიანი ვალდებულებების შემთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დასაფარი ვალდებულების ოდენობა დასაფარი იყო მთელი წლის განმავლობაში. უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის წარსადგენ მოხსენებებში გამოიყენება 100 საბაზო ქულიანი (1%) ზრდა ან კლება და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას საპროცენტო განაკვეთების გონივრულად შესაძლებელი ცვლილების თაობაზე.

საპროცენტო განაკვეთების 100 საბაზო ქულით მეტობის/ნაკლებობის შემთხვევაში, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად დატოვების პირობებში, კომპანიის:

- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოგება შემცირდებოდა/გაიზრდებოდა 2, 238,064 ლარით (2023: შემცირდებოდა/გაიზრდებოდა 2,203,805 ლარით). ეს ძირითადად მიეკუთვნება კომპანიის დაქვემდებარებას მის ნასესხებ სახსრებზე საპროცენტო განაკვეთების მიმართ.

კომპანიის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთების მიმართ მიმდინარე წელს გაიზარდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ცვლადგანაკვეთიანი სავალო ინსტრუმენტების მოცულობის ზრდით.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიას გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულება. კომპანიას ყოველდღიურად უზდება არსებული ფულადი რესურსების გამოყენება. ხელმძღვანელობა აკვირდება კომპანიის ფულადი ნაკადების მიმდინარე ყოველთვიურ პროგნოზებს.

კომპანია ლიკვიდობის რისკს მართავს წილების მფლობელების კაპიტალის შენატანებისა და სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრების საშუალებით. კომპანიის ლიკვიდობის რეზერვი მოიცავდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს (შენიშვნა 11).

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით გაანალიზებული ვალდებულებები. ცხრილში განმარტებული თანხები წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მათ შორის, მთლიან სასესხო ვალდებულებებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესულისგან განსხვავდება, რადგან ეს უკანასკნელი დისკონტირებულ ფულად ნაკადებს ეფუძნება. თუ გადასახდელი თანხა ფიქსირებული არ არის, ნაჩვენები ოდენობა დგინდება საანგარიშგებო დღეს არსებული პირობების გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გადახდები კონვერტირდება საანგარიშგებო დღეს არსებული სპოტ სავალუტო კურსით.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბერს შემდეგია:

ქართული ლარი	მოთხოვნა დე და 1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვე - 5 წელიწადზე მეტი		სულ
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 13)	-	-	(45,595,194)	(98,343,504)	(227,291,325)	(371,230,023)
საიჯარო ვალდებულებები	(38,020)	(31,765)	(72,761)	(103,865)	(1,113,600)	(1,360,011)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(233,511)	(127,551)	(130,269)	-	-	(491,331)
სულ მომავალი გადახდები, მათ შორის მომავალი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	(271,531)	(159,316)	(45,798,224)	(98,447,369)	(228,404,925)	(373,081,365)

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბერს შემდეგია:

ქართული ლარი	მოთხოვნა დე და 1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვე - 5 წელიწადზე მეტი		სულ
ვადიანი სესხები საიჯარო	-	-	(55,721,428)	(104,109,323)	(262,912,266)	(422,743,017)
ვალდებულებები სავაჭრო და სხვა	(43,024)	(30,742)	(117,155)	(198,830)	(1,141,440)	(1,531,191)
ვალდებულებები	(76,768)	(88,139)	(153,893)	(102,596)	-	(421,396)
სულ მომავალი გადახდები	(119,792)	(118,881)	(55,992,476)	(104,410,749)	(264,053,706)	(424,695,604)

25 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზანია გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოფილი იყოს უკუგება წილების მფლობელებისთვის და შენარჩუნებული იყოს ოპტიმალური კაპიტალის სტრუქტურა კაპიტალის ღირებულების შესამცირებლად.

26 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რომელიც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არ არის, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება განმარტებულია. აქტივების სამართლიანი ღირებულებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არ არის:

ქართული ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი				2023 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	2,087,550	-	2,087,550	-	1,773,992	-	1,773,992
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	3,792,896	3,792,896	-	-	3,271,576	3,271,576
სულ აქტივები	-	2,087,550	3,792,896	5,880,446	-	1,773,992	3,271,576	5,045,568
ვალდებულებები								
- ნასესხები სახსრები	-	196,231,249	-	196,231,249	-	223,780,059	-	223,780,059
- საიჯარო ვალდებულებები	-	-	289,907	289,907	-	-	428,715	428,715
სხვა ფინანსური ვალდებულებები								
-სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	491,331	491,331	-	-	421,396	421,396
სულ ვალდებულებები	-	196,231,249	781,238	197,012,487	-	223,780,059	421,396	224,630,170

26 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი. ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, სამართლიანი ღირებულება შეფასდა შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების (რომელთა მიღება მოსალოდნელია) დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ. ფიქსირებული და მცოცავი საპროცენტო ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მენეჯმენტის მიერ დაახლოებით 9.26%-იანი მიმდინარე სესხის განაკვეთის გამოყენებით, მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებულის, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაქტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო მოთხოვნების და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადების გამო, მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებასთან.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასებულ იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადების გამო, მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებასთან.

27 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიაში.


მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის შესახებ

კომპანია საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, მდინარე ფარავანზე ჰიდროელექტროსადგურის (ჰესი) ოპერირებას ახორციელებს. კომპანია ამუშავებს ფარავანჰესს, რომელიც 2014 წელს უნიკალურ პროექტად ითვლებოდა საქართველოში. ჰესი მოიცავს 14 კმ სიგრძის სადერივაციო გვირაბს, რომლის მეშვეობითაც მდინარე ფარავანი მდინარე მტკვარში ჩაედინება, სოფელ ხერთვისში. ფარავანის ჰიდრო პროექტი ასევე მოიცავს 33 კმ სიგრძის 220 კვ ძაბვის გადამცემ ხაზს. გადამცემი ხაზი გადის ახალციხის ქვესადგურთან, რომელიც უკავშირდება შავი ზღვის გადამცემ ხაზს, მაღალი ძაბვით 400/500 კვ. ეს ხაზი საქართველოს თურქეთთან აკავშირებს.

კომპანია დაყოფილია სამ დეპარტამენტად: ადმინისტრაციული, ფინანსური და საოპერაციო. ადმინისტრაციული და ფინანსური განყოფილებები მდებარეობს თბილისში, მთავარ ოფისში, საოპერაციო განყოფილება კი მდებარეობს ასპინძის რაიონის სოფელ ხერთვისში (ფარავანჰესის ტერიტორია). 2024 წელს, კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 36 ადამიანი (2023: 37).

საქართველო-ურბან ენერჯის ორგანიზაციული სტრუქტურა



ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

ფინანსური ინდიკატორები

2024 წელს საქართველო-ურბან ენერჯიმ დაიწყო ჰიდროელექტროსადგურის ტურბინების ჩამკეტის კაპიტალური რემონტი. პირველი ერთეული დასრულდება 2025 წლის ივნისში. მეორე ერთეულის დასრულება გათვალისწინებულია 2025 წლის მეორე ნახევარში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მიმდინარე აქტივებს აღემატება 24,910,908 ლარით. მიმდინარე ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან ნასესხებ სახსრებს და მათზე საქართველოს ბანკისთვის გადასახდელ პროცენტს 21,685,374 ლარის ოდენობით; საქართველოს ბანკისგან მიღებული გრძელვადიანი სესხის მოკლევადიან ნაწილსა და შესაბამის პროცენტს 10,687,502 ლარის ოდენობით. დეტალები საბრუნავი კაპიტალის დეფიციტის და ფუნქციონირებადი საწარმოს შესახებ შეფასება მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

კომპანიის მოკლევადიანი აქტივები ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, საბანკო დეპოზიტებს, ესკოს მიმართ არსებულ მოთხოვნებსა და მარაგებს. კომპანიის მარაგები ძირითადად შედგება ჰესის კომპონენტის აღჭურვილობის სათადარიგო ნაწილებისგან. შიდა პოლიტიკის თანახმად, კომპანიას აქვს მარაგების მინიმალური და მაქსიმალური დონე, რომელიც განსაზღვრულია კონკრეტული სათადარიგო ნაწილებისთვის.

კომპანიის საქმიანობის მთავარ ფინანსურ ინდიკატორად ითვლება შემოსულობა დარიცხულ პროცენტამდე, გადასახადებამდე, ცვეთამდე და ამორტიზაციამდე (EBITDA) ზღვარი, მთლიანი ელექტროენერგიის გენერაცია და საოპერაციო ხარჯები. 2023 წელს კომპანიის შემოსავალმა შეადგინა 48,190,290, ლარი, რაც 2023 წელთან შედარებით (43,499,498 ლარი) 11%-ით მეტია. კილოვატ/საათის თვალსაზრისით, ელექტროენერგიის წმინდა გენერირება წინა წელთან შედარებით 16%-ით არის გაზრდილი.

EBITDA ზღვარი გაიზარდა და 2024 წელს 80% შეადგინა 2023 წლის 74%-თან შედარებით. გაყიდვების ზრდასთან ერთად, EBITDA ზღვრის გაზრდის ძირითადი მიზეზი არის ასევე ელექტროენერგიის გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა გადაცემის და გარანტირებული სიმძლავრის საფასური, რომელიც მხოლოდ ელექტროენერგიის ექსპორტის დროს გაიწევა. 2024 წელს კომპანიამ ელექტროენერგიის ექსპორტი განახორციელა მხოლოდ 1 თვე, ხოლო 2023 წელს - 3 თვე.

საოპერაციო ხარჯების თვალსაზრისით, მომსახურების ხარჯები და პერსონალის ხარჯები წინა წელთან შედარებით შემცირდა 30%-ით და 6 %-ით, შესაბამისად, წინა წელთან შედარებით. მომსახურების ხარჯებში შედის გადაცემის და გარანტირებული სიმძლავრის საფასური, რომელიც დაკავშირებულია ელექტროენერგიის ექსპორტთან, როგორც ეს აღწერილია ზემოთ მოცემულ აბზაცში.

არაფინანსური ინდიკატორები

საოპერაციო ინდიკატორები

ჰიდროელექტროსადგურები ხასიათდება ეფექტურობის 2 ინდიკატორით (ელექტრომექანიკური და ჰიდრომექანიკური მოწყობილობების მაჩვენებლები):

- **დატვირთვის ფაქტორი:** ანუ წმინდა სიმძლავრის ფაქტორი არის ფაქტობრივი ელექტრული ენერგიის გამომუშავების თანაფარდობა მოცემულ პერიოდში მაქსიმალური ელექტრული ენერგიის გამომუშავებასთან ამ პერიოდის განმავლობაში.
- **ხელმისაწვდომობის ფაქტორი:** არის დროის ის ოდენობა, რომლის საშუალებითაც ჰესს შეუძლია ელექტროენერგიის წარმოება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რომელიც იყოფა იმ პერიოდში დროის ოდენობაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ფარავანჰესის ეფექტურობის ორი ინდიკატორი ოპერაციული პერიოდის განმავლობაში:

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
დატვირთვის ფაქტორი	53.9%	56.0%	50.3%	53.0%	49.2%	42.5%	44.3%	46.4%	45.0%	52.4%
ხელმისაწვდომობის ფაქტორი	98.8%	99.3%	99.8%	99.7%	99.8%	99.1%	98.8%	99.6%	99.2%	99.5%

სოციალური პროექტები

გასული წლების მსგავსად, ურბან ენერჯი 2024 წელსაც მონაწილეობდა სოციალურ პროექტებში. კომპანია წლის განმავლობაში პერიოდულად ახორციელებს სოფლის ტერიტორიის დასუფთავების ღონისძიებებს. კომპანია ასევე ყოველწლიურად ეხმარება ხერთვისის საჯარო სკოლის სტუდენტებს, შეიძინა სასკოლო მასალები და საახალწლო საჩუქრები 2024 წელს.

ურბან ენერჯი არის ქართველ და თურქი ბიზნესმენთა ასოციაციის წევრი და დროდადრო მონაწილეობს საქველმოქმედო ან სხვა ღონისძიებებში, რომელიც აახლოვებს ასოციაციის ქართველ და თურქ წევრებს.

კომპანია გეგმავს გააგრძელოს მონაწილეობა სოციალურ პროექტებში, განსაკუთრებით ასპინძის რეგიონში.

გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

გარემოს დაცვა და უსაფრთხოება მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის საქმიანობაში. აღნიშნულ საკითხებს დიდი ყურადღება ეთმობა ანადოლუ ჯგუფის მხრიდან და მკაცრად რეგულირდება მთავრობის მიერ.

კომპანიის 36 თანამშრომლიდან ერთი - ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციალისტია, ასევე კომპანიამ გააფორმა საკონსულტაციო ხელშეკრულება გარემოს დაცვის სპეციალისტთან.

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დროს აშენდა თევზსავალი სათაო ნაგებობის ტერიტორიაზე. მდინარეში თევზის არსებობაზე, სახეობებზე და რეპროდუქციაზე მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის გარემოსდაცვითი სპეციალისტი და შედეგები ასახულია კრედიტორებისთვის მომზადებულ წლიურ ანგარიშში.

ჩვეულებრივ, ფრინველებზე დაკვირვებას ახორციელებს კომპანიის გარემოს დაცვის სპეციალისტი, გადამცემი ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე დაკვირვებისა და მეზობელი სოფლების მაცხოვრებლების გამოკითხვის საფუძველზე, ფრინველების სიკვდილიანობასთან დაკავშირებით. დაკვირვების შედეგად არცერთი უჩვეულო შემთხვევა არ გამოვლენილა.

ნაგავი და მყარი ნარჩენები ჰესების ტერიტორიიდან რეგულარულად გააქვთ შესაბამის მხარეებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. სახიფათო ნარჩენებისთვის გათვალისწინებულია ცალკე საცავი და გარკვეულ დონემდე დაგროვების შემდეგ შესაბამის სერტიფიცირებულ კომპანიას გააქვს.

მდინარის წყლის ქიმიური ანალიზი კეთდება საქართველოს გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ასევე, ყოველწლიურად, სასმელი წყლის კვლევა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში ხდება.

მინიმალური ბიოლოგიური ნაკადის შეფასების მიზნით, ჰესზე აშენდა წყლის დონის საზომი სისტემა. კონკრეტული სტრუქტურა შექმნილია ზუსტი მონაცემების მისაღებად. წყლის დონის და ნაკადის მონაცემები გამოითვლება მთელი წლის განმავლობაში. მონაცემები ინახება სპეციალურ მონაცემთა მრიცხველში და მოდემის საშუალებით იგი გადაეცემა ჰესის სკადას სისტემას.

ხელმძღვანელობა პერიოდულად ხვდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასპინძის და ახალციხის მუნიციპალიტეტებს, ასევე ადგილობრივ მოსახლეობას. არანაირი სარჩელი ან წერილობითი საჩივარი არ არის მიღებული.

კომპანია იყენებს მრავალფეროვან სადაზღვეო პროდუქტს, როგორებიცაა დანადგარების დაზიანებისა და ბიზნესის შეფერხების ყოვლისმომცველი დაზღვევა, ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევა, პოლიტიკის ძალადობის დაზღვევა, დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევა, ვალდებულებების პირობების დარღვევის დაზღვევა, ჯანმრთელობის დაზღვევა, ავტომობილების დაზღვევა, სათაო ოფისის ქონების დაზღვევა.

რისკები და განუსაზღვრელობები

კომპანიის ხელმძღვანელობა აფასებს და პრიორიტეტებს ანიჭებს რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ბიზნესთან და ინდუსტრიასთან და თან ახლავს რესურსების კოორდინირებულ და ეკონომიკურ გამოყენებას გავლენის შემცირების, მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით.

2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ აშენებული ელექტროსადგურის ტარიფები არ რეგულირდება. მათ ელექტროენერგიით ვაჭრობის უფლება ეძლევათ თავისუფალი (დაურეგულირებული) ტარიფით. ფარავანჰესიც ამ ტიპის ელექტროსადგურებს მიეკუთვნება. კომპანიას გაფორმებული აქვს 49 წლიანი ხელშეკრულება ელექტროენერგიის გადამცემ / დისპეტჩერიზაციის მომსახურებაზე სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან (სსე), შპს „ენერგოტრანსთან“ და შპს „საქრუსენერგოსთან“ ელექტროენერგიის ექსპორტზე ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით გატანისთვის (მესხეთის 400 კვ ძაბვის გადამცემი ხაზით).

ახალი ელექტროგადამცემი ხაზის პრიორიტეტულობა და უპირატესობა განისაზღვრება შემცირების თანმიმდევრობით (ა, ბ, გ და დ კატეგორიები). რადგანაც ფარავანჰესი აშენებულია 2010 წლის შემდეგ, ჰესი მიეკუთვნება ბ კატეგორიას.

2025 წელს მოსალოდნელია საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა 7.8% და 6.4%-ით, შესაბამისად (წყარო: *Galt & Taggart*).

თურქეთის ბაზარზე ელექტროენერგიის ფასის ცვალებადობის რისკის შესამცირებლად და კვტ/სთ-ზე უფრო მაღალი შემოსავლის უზრუნველსაყოფად, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანია ირჩევს არ გამოიყენოს ექსპორტის პრიორიტეტული უფლება. 2016, 2017, 2018 და 2019 წლების განმავლობაში კომპანიას ეს პრიორიტეტული უფლება საექსპორტოდ არ გამოუყენებია, გარდა მაისი-ივლისის პერიოდისა. მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ელექტროენერგიის ფასის შემცირება და აგრეთვე, თურქული ლირის დევალვაცია აშშ დოლარის მიმართ, რადგან ექსპორტის შემთხვევაში, თურქულ ლირაში ცვალებადი ელექტროენერგიის საზღაური საბოლოოდ კონვერტირდება აშშ დოლარში. გარდა ამ რისკ ფაქტორებისა, ადგილობრივად გაზრდილი ღირებულება (ელექტროენერგიის ექსპორტთან დაკავშირებით) ასევე დიდ როლს ასრულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამის საპასუხოდ, კომპანიამ მიაღწია შეთანხმებას და 2020 წლის 28 თებერვალს საქართველოს მთავრობასთან და ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმის დამატებას, რაც ითვალისწინებს ფაქტობრივად გენერირებული ელექტროენერგიის 2020-2024 წლებში მთლიანად გაყიდვას საქართველოში. გასაყიდი ფასი ყოველ შეთანხმებულ თვეში ფიქსირდება აშშ დოლარში.

ყოველთვიური საშუალო ბაზრის საკლირინგო ფასი თურქეთში 2021 წლის USc 5.6 კვტ/სთ-დან 2022 წელს USc 15.1 კვტ/სთ-მდე გაიზარდა. ყველაზე მაღალი ფასი ბაზარზე დაფიქსირდა 2022 წლის სექტემბერში და შეადგინა USc 21.3 კვტ/სთ. ეს ზრდა პირველ რიგში განაპირობა ბუნებრივი გაზის ფასების გლობალურმა ზრდამ მიმდინარე ენერგეტიკული კრიზისის პირობებში და თურქეთის მიერ გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურების გამოყენების მოცულობამ. ამის საპირისპიროდ, საქართველოში ელექტროენერგიის ფასები ბევრად ნაკლებად გაიზარდა. 2023 წელს თურქეთში ელექტროენერგიის ფასები დასტაბილურდა და მერყეობდა USc 7,1 კვტ/სთ- დან USc 9,8 კვტ/სთ შორის.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ელექტროენერგიის მწარმოებლებს სურდათ ელექტროენერგიის თურქულ ბაზარზე ექსპორტი და არა ადგილობრივ მომხმარებლებზე გაყიდვა და შედეგად კომპანიამ გადაწყვიტა გადართულიყო თურქეთის ბაზარზე ზაფხულის თვეებში. საქართველოს მთავრობასთან 2009 წლის 27 მაისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის 2023 წლის 21 აპრილს ხელმოწერილი დანამატის საფუძველზე უზან ენერჯის მიენიჭა ელექტროენერგიის ექსპორტის უფლება თურქეთში 2023 და 2024 წლის ზაფხულის თვეებში (მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო). 2023 წლის მაისში, ივნისსა და ივლისში, ასევე 2024 წლის ივლისში ელექტროენერგიის ექსპორტით კომპანიამ გაყიდვების უკეთესი მარჟა მიიღო, ვიდრე ადგილობრივი გაყიდვებით. გაუმჯობესებული მომგებიანობა ხელმძღვანელობას დამატებითი რესურსებით უზრუნველყოფს, იმისათვის, რომ სესხები დროულად დაიფაროს და მეტად მკაფიო გეგმები შემუშავდეს.

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია რისკების მართვის მექანიზმის შესახებ წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების 23-ე შენიშვნაში.

სამომავლო გეგმები

კომპანია გააგრძელებს თურქეთისა და საქართველოს ბაზარზე ყურადღებით დაკვირვებას და გადაწყვეტილებას კომპანიის ინტერესების გათვალისწინებით მიიღებს.

კომპანია აგრეთვე გეგმავს, გაამკაცროს ბიუჯეტის კონტროლი ხარჯების ოპტიმიზებისა და 2025 წელს უკეთესი ფინანსური შედეგების მიღწევის მიზნით.

ბურაკ ჯანდანი
გენერალური მენეჯერი

ნოდარ კურტანიძე
კომერციული დირექტორი

2024 წლის 9 ივნისი

2024 წლის 9 ივნისი